პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 94 (5124)

1974 წ. 14 მაისი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

წერილების მიმოხილვა

## სპორტული ბაზების კეთილმოწყობა — ყურადღების ცენტრში!

რედაქციაში შემოსულ წერილთა ერთი ნაწილი, როგორც წესი, სპორტული ბაზების მდგომარეობას ეხება. გაზეთის მკითხველები, მეტწილად სპორტსმენები ან მწვრთნელები, ხშირად უჩივიან ბაზების სიმცირეს, მათს კეთილმოუწყობლობას. არის, რა თქმა უნდა, კარგი სტრიქონებიც, რომლებითაც წერილების ავტორები მადლობას უხდიან ყურადღებისთვის რაიონების ხელმძღვანელებს, სპორტულ ორგანიზაციათა მესვეურებს...

დღეს გაგაცნობთ რამდენიმე ასეთ ურთიერთსაწინააღმდეგო წერილს. იმედია, მათ ყურადღებით წაიკითხავენ ამ საკითხისთვის პასუხისმგებელი პირები და საჭირო დასკვნებსაც გააკეთებენ.

ერთი წერილის ავტორია ჭიდაობის ვეტერანი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ქუთაისელი მწვრთნელი ზ. შეყრილაძე. იგი სამართლიან გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქუთაისში საჭიდაო დარბაზი მხოლოდ ფორმალურად არსებობს. სინამდვილეში კი აბანოს ქვეშ, სარდაფში გამოყოფილ სავარჯიშო ადგილს ძნელია სპორტული დარბაზი უწოდოთ.

ქუთაისმა არა ერთი და ორი სახელოვანი მოჭიდავე აღზარდა. ამ ქალაქს მდიდარი ტრადიციები აქვს როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ ჭიდაობაში. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოს ნაკრები გუნდები ამ ქალაქიდან ვეტერანთა ღირსეულ ცვლას ელიან.

მაგრამ ლოდინი შესაძლოა უნაყოფო გამოდგეს, ვინაიდან ქალაქში წვრთნისთვის შესაფერისი პირობები არ არსებობს. აბა წარმოიდგინეთ, როგორ უნდა მომზადდეს მაღალი კლასის სპორტსმენი „დარბაზში", სადაც ყოველ ხუთ მეტრში საყრდენი სვეტებია აღმართული? ნორმალურ საჭიდაო ხალიჩებს იქ, რა თქმა უნდა, ვერ დააფენენ.

ასეთ სავალალო მდგომარეობაში მყოფ „ბაზას" ახალი უბედურება დაატყდა თავს: სინესტემ იატაკი დაალპო და „დარბაზი" ჩავარდა... „უფსკრულში".

სპორტული ბაზის უხარისხობა საკითხის ერთი მხარეა, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე უფრო სერიოზულ საფრთხესთან გვაქვს. დარბაზის დღევანდელი ავარიული მდგომარეობა შესაძლოა საბედისწერო გახდეს მომეცადინეთათვის.

მოჭიდავეებმა და მწვრთნელებმა არაერთხელ მიმართეს თხოვნით სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ხელმძღვანელებს. ეს უკანასკნელნი გრძნობენ, რომ მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა და ამიტომ ყურადღებით ისმენენ საჩივრებს, იძლევიან დაპირებებს, მაგრამ ამის იქით საქმე არ მიდის.

ქუთაისელ მოჭიდავეთა გასაჭირი კიდევ უფრო გასაგები ხდება ზუგდიდელთა სიხარულის ფონზე. აი, რას გვწერს ჩვენი იქაური კორესპონდენტი პ. ფიფია: „ქალაქის ცენტრალური სტადიონი ზუგდიდელი მშრომელების დასვენებისა და გართობის კერაა, სადაც ხალისიანად ვარჯიშობენ სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები".

ზუგდიდის სპორტსმენებს მართლაც აქვთ საამაყო. წლეულს საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სახსრები გამოყო სტადიონის რეკონსტრუქციისთვის. უკვე შეკეთდა სტადიონის სათავსოები, კეთილმოეწყო სათამაშო მინდორი, განახლდა სადრენაჟო სისტემა. მალე მწყობრში ჩადგება ჩოგბურთის კორტები, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. ყოველივე ეს და ბევრი კიდევ სხვა, რაც რეკონსტრუქციითაა გათვალისწინებული, გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ზუგდიდის სპორტული საზოგადოებრიობა მომზადებული შეხვდა ახალ სეზონს.

კიდევ უფრო სასიხარულო წერილი მივიღეთ ამას წინათ ჭიათურიდან. ამ ქალაქის სპორტული კომბინატი მართლაც ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში, ყოველ შემთხვევაში, ასეთ კომპაქტურ კომპლექსს (დახურული საცურაო აუზი, ფეხბურთის სტადიონი, სპორტული დარბაზი, მოედნები, დამხმარე ბაზები და სათავსოები) ბევრი დიდი ქალაქი ინატრებდა.

მართალია, კომბინატის მშენებლობა 10 წლის წინათ დამთავრდა, მაგრამ ბევრი რამ შუა გზაზე იყო მიტოვებული. ახლა ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ზრუნვის შედეგად ჭიათურის სპორტულმა კომბინატმა მთლიანად იცვალა სახე.

ამის შესახებ რედაქციას ატყობინებს „ლელოს" მკითხველი შ. ტატიშვილი. იგი გვწერს: „მთლიანად გარემონტდა და შეკეთდა სტადიონის ტრიბუნები. მოგვარდა საცურაო აუზისა და სხვა ბაზების გათბობის სისტემა, მთლიანად შეიცვალა ელექტროგაყვანილობა სპორტულ დარბაზში. დაიდგა ტაბლო ფეხბურთის სტადიონზე, ხოლო ახალი ელექტროსისტემა ღამით თამაშის საშუალებას იძლევა".

ჭიათურელი სპორტსმენების წინაშე მართლაც ნათელი პერსპექტივებია გადაშლილი. ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელია, მაგრამ, როცა ენთუზიაზმი და ინტერესი არსებობს, წვრილმანები სახსენებელიც არაა.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ასეთი ყურადღება და ხელშეწყობა ფიზკულტურის დარგის მუშაკებს უფრო დიდი ვალდებულებების წინაშე აყენებს. მაგრამ ჭიათურელები არ უშინდებიან ამას და მზად არიან მზრუნველობას საქმით უპასუხონ.

აი, რა ძალა აქვს კოლექტიურ მონდომებას და ზრუნვას. რა ადვილია „მთის დაძვრა", როცა არსებობს ყურადღება, მხარდაჭერა და ამ მხარდაჭერით გამოწვეული ენთუზიაზმი. კარგი იქნება, თუ ჭიათურელთა მაგალითი გადამდები აღმოჩნდება იმათთვის, ვინც ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვებით, დაპირებებით და ზეპირი განცხადებებით იფარგლება.

## ოცდახუთწამიანი ფინალი

თბილისის 147-ე სკოლის X კლასის მოსწავლე გელა გელაშვილი დიდი ხანი არაა, რაც თავისუფალმა ჭიდაობამ გაიტაცა, მაგრამ ნიჭიერმა ჭაბუკმა ამ მოკლე ხანში მწვრთნელების ს. ბახტაძისა და მ. ოსიყმაშვილის წყალობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: იგი ჯერ რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის, მერე კი „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს იუნიორთა პირველობაშიც ყველას აჯობა, თან მთელი ტურნირი უჯარიმოდ დაამთავრა.

წარმატებით იასპარეზა გელამ ამას წინათ დონეცკში, იუნიორთა საკავშირო პირად ჩემპიონატში.

სტარტზე მან ორი შეხვედრა წმინდად მოიგო ადგილობრივ ათლეტებთან ს. ბაჟენოვთან და ა. უდოვენკოსთან. მესამე წრეში გელაშვილი მინსკელ ვ. სლესარიონოვთან დამარცხდა, ახალი წესების თანახმად „ბ" ჯგუფში გადავიდა და იქიდან გაიკაფა გზა ფინალისკენ (წმინდად მოიგო ყველა შეხვედრა).

ფინალში კვლავ სლესარიონოვთან მოუხდა შერკინება. ბრძოლა ამჯერად ხანმოკლე გამოდგა: გელამ 25 წამში დასცა მეტოქე და ჩემპიონის სახელი მოიპოვა მძიმე წონაში. მანვე მიიღო სპეციალური პრიზი ყველაზე სწრაფად მოგებისთვის.

ამჟამად გ. გელაშვილი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადება.

ც. ფცქიალაძე.



სურათზე: გ. გელაშვილი.

## რევანში

მოსკოვი, 12 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების დღეს გამართულმა მეორე მატჩმა ლუჟნიკის სპორტის სასახლეში აურაცხელ მაყურებელს მოუყარა თავი. მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ გუნდთან მისი შეხვედრა მართლაც უაღრესად მძაფრი და საინტერესო გამოდგა, თუმცა ზომაზე მეტი ხარვეზიც გამოავლინა საბჭოთა ნაკრების თამაშში.

სტუმრებმა დაცვაში თავიდანვე საკმაოდ „მკაცრ" ხერხებს მიმართეს და, რომ იტყვიან, „ჯარიმის ზღვარზე" თამაშობდნენ. განსაკუთრებული ყურადღება მათ საბჭოთა გუნდის მთავარ ბომბარდირებს ს. და ა. ბელოვებს მიაქციეს. ეს ყურადღება იმდენად „დიდი" იყო, რომ პირველი ტაიმის მიწურულს ს. ბელოვი დაშავდა და საერთოდ ვეღარ გამოვიდა მოედანზე. სწორედ ბელოვების საუცხოო თამაშის წყალობით (მათ 16-16 ქულა შესძინეს თავიანთ გუნდს) დაწინაურდა საბჭოთა ნაკრები შესვენების წინ 9 ქულით (50:41).

როგორც აღვნიშნეთ, ს. ბელოვი მოედანზე ვეღარ გამოვიდა. და აი, სსრ კავშირის ნაკრებში არ აღმოჩნდა კალათბურთელი, რომელიც თამაშის სადავეებს აიღებდა ხელთ. ამერიკელებთან პირველი მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე კიეველი ა. სალნიკოვი მეტოქეთა უაღრესად მჭიდრო მეურვეობაში აღმოჩნდა და ვეღარაფერი შეძლო.

ინიციატივას ამერიკელი სტუდენტები დაეუფლნენ, რომლებმაც უკვე 24-ე წუთზე გაათანაბრეს ანგარიში — 52:52. ისინი ზონურ დაცვას დროდადრო საუცხოოდ უნაცვლებდნენ პრესინგს, თანაც ერთობ შედეგიანად ტყორცნიდნენ ბურთს საშუალო და შორი მანძილებიდან. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ლ. რობინსონმა, რომელმაც გუნდს 21 ქულა მოუტანა.

საბჭოთა ნაკრების წევრები ამაოდ შეეცადნენ ბრძოლაში გარდატეხის შეტანას. ვერც ტანმაღალმა ა. ტკაჩენკომ (კიევი) უშველა წაგებულ საქმეს...

გაიმარჯვეს სტუმრებმა — 83:77. ამრიგად, რევანში შედგა.

შემდეგი შეხვედრები აშშ-ს ნაკრებს ლენინგრადში აქვს: 14 მაისს იგი სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდს ეთამაშება, ხოლო 15-ში — მასპინძელი ქალაქის ნაკრებს.

## [illegible]-74

● ტოკიო, 10 მაისი. მსოფლიო ჩემპიონატისა და აზიის თამაშების შესარჩევ შეჯიბრებაში მოასპარეზე ტ. ისიგემ ადგილიდან სროლაში დიდ წარმატებას მიაღწია — 199 ქულა მოაგროვა 200-დან. ეს შედეგი იტალიელი მესტენდურის ა. სკალცონეს მსოფლიო რეკორდს უდრის.

● მინსკი, 12 მაისი. აქ დამთავრდა ბატუტზე ხტომაში საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც ტრადიციულად საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავ-კოსმონავტ გ. დობროვოლსკის ხსოვნას ეძღვნება. ქალთა შორის ინდივიდუალურ ხტომაში გაიმარჯვა ტოლიატელმა ო. სტარიკოვამ (96,6 ქულა). II ადგილზეა ვიტებსკელი ტ. ჩუნინა (96,5), ხოლო III — ვორონეჟელი ს. ლევინა (94,2). ჩუნინას და ლევინას წყვილმა საუკეთესო შედეგს მიაღწია სინქრონულ ხტომაში — 62,25 ქულა. ვაჟებში ინდივიდუალურ ხტომაში პირველი იყო კრასნოდარელი ე. იანესი — 102,2. II ადგილზეა სვერდლოვსკელი ს. ლობანოვი (101,9), III — კრასნოდარელი ა. მიშჩენკო (100,8). სინქრონულ ხტომაში გაიმარჯვეს იანესმა და მისმა თანაქალაქელმა ე. იაკოვენკომ — 66,85.

● მადრიდი, 12 მაისი. ბალახის ჰოკეის ესპანელმა ოსტატებმა აქ ევროპის პირველობის ფინალური მატჩი მოუგეს დასავლეთ გერმანიის ნაკრებს — 1:0. ამრიგად, ჩემპიონი გახდა ესპანეთის ეროვნული გუნდი. III ადგილზე ჰოლანდიის ნაკრები გავიდა.

● ნაგოია, 12 მაისი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები აგრძელებს ტურნეს იაპონიაში. დღეს იგი მეოთხედ შეხვდა მასპინძელი ქვეყნის ნაკრებს და დამარცხდა — 2:3 (15:9, 13:15, 15:11, 10:15, 6:15). გაგახსენებთ: მასპინძლებმა სამი მატჩი მოიგეს, სტუმრებმა — ერთი.

## სამბო მათი საყვარელი სპორტია

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ფიზკულტურის კოლექტივს (თავმჯდომარე — სამმართველოს უფროსი გ. ბაკურაძე) ბევრი სახელმოხვეჭილი მოჭიდავე ჰყავს. ამას წინათ ფალავანთა კლუბში ისინი ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ სამბოში. ტურნირში მონაწილეობდა 13 გუნდი.

როგორც მოველოდით, კარგად იჭიდავეს ძმებმა ელგუჯა და თენგიზ მაღალთაძეებმა. მათ ყველა შეხვედრა წმინდად მოიგეს და I ადგილები დაისაკუთრეს. ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი ა. ზურაბაულიც. I ადგილები დაისაკუთრეს, აგრეთვე, რ. მექთეშაშვილმა, ქ. შიოშვილმა, ა. გოგოლაძემ, მ. გულბანმა და ზ. ლაზაშვილმა.

შეჯიბრებამ რამდენიმე პერსპექტიული მოჭიდავე გამოავლინა. მათ შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ რ. ბეკოშვილი (მწვრთნელი ნ. მუზაშვილი), რომელიც მეტწილად თავისუფალ ჭიდაობაში ასპარეზობს და სამბოში პირველად სცადა ძალა.

გუნდური გამარჯვება ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სპორტსმენებს ხვდათ.

რ. ფერაძე.



სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ავტორის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

# საძირკველი დროულად უნდა ჩავუყაროთ...

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ჩატარების შესახებ ზემდგომი პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა სპორტის მასობრივ და ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადებისთვის საქართველოს ორგანიზაციების მზადების გეგმა.

სპარტაკიადები, რომელთა დევიზია „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დასაცავად", უნდა გაიმართოს ფიზკულტურისა და დოსააფის ყველა კოლექტივში, სამხედრო ნაწილებში, რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში, აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, სპორტულ საზოგადოებებსა და უწყებებში.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საქართველოს სპარტაკიადის ჩატარება და სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის ჩვენი სპორტული დელეგაციის მომზადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტსა და რესპუბლიკის დოსააფის ცენტრალურ კომიტეტს დაავალა.

და აი, ამას წინათ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში თათბირზე შეიკრიბნენ რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენები, გუნდების მწვრთნელები და უფროსები, კომკავშირული ორგანიზატორები, ექიმები, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების, სპორტული ფედერაციების, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების ხელმძღვანელი მუშაკები.

თათბირი გახსნა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ზ. მახარაძემ.

მოხსენებისთვის სიტყვა მიეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ო. ჩერქეზიას. მან შეკრებილთ გააცნო ზემდგომი ორგანოების დადგენილება „საქართველოს სპარტაკიადის ჩატარებისა და 1975 წლის სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შესახებ", ილაპარაკა წინა სპარტაკიადაში რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივის მიერ პოზიციების დათმობის მიზეზებზე, მომავალი სპარტაკიადისთვის მზადებაში არსებულ ხარვეზებზე, მათი დაძლევის გზებზე.

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, — თქვა მომხსენებელმა, — აფხაზეთისა და აჭარის მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ავალებს, რომ ფიზკულტურული მოძრაობის ყველა რგოლში სპარტაკიადების ჩატარება უზრუნველყონ მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, ეროვნული და ტექნიკური სახეობების განვითარების ლოზუნგით, მეტი ყურადღება მიაქციონ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმას, სათანადო კონტროლი დააწესონ იმ დარბაზებსა თუ მოედნებზე, სადაც ნაკრებმა გუნდებმა უნდა ივარჯიშონ.

სპარტაკიადებისთვის მზადებაში დიდი როლი ეკისრებათ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ფიზკულტურული და დოსააფის ორგანიზაციების, სასწავლებლების ხელმძღვანელებს, რომლებმაც უნდა იზრუნონ თავიანთ კოლექტივებში სპარტაკიადების მაღალ დონეზე გამართვისთვის, წვრთნისა და შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის სათანადო პირობები შეუქმნან ნაკრების წევრებს, უზრუნველყონ ისინი ბაზებით, ინვენტარითა და ფორმებით.

ითქვა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის ფიზკულტურისა და დოსააფის კომიტეტებს კონკრეტულ ამოცანად დაუსახა ბრძოლა ნაკრები გუნდების სპორტულ-ტექნიკური დონის ამაღლებისთვის. მათ ამაში უნდა დაეხმარონ საქართველოს პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები.

მომხსენებელმა ისიც აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამით ველოსიპედისტთა შეჯიბრება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ახალ ველოსტადიონზე უნდა ჩატარდეს, ეს კი ბევრს ავალებს თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს, ქალაქის ხელმძღვანელობას.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სპორტის ტექნიკური სახეობების განვითარებისთვის ზრუნვას. დასახულია ღონისძიებანი რუსთავის მიდამოებში, იაღლუჯის მთის ფერდობებზე ავტო-მოტოტრასის პირველი რიგის სამუშაოების დასრულებისთვის, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში დოსააფის სახსრებით 50-მეტრიანი ტირების აგებისთვის. ხოლო იმ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც 1000 და მეტი დოსააფის წევრია, წლეულს უნდა აიგოს 25-მეტრიანი ტირები.

ლესელიძისა და ბაკურიანის სპორტული ნაგებობანი საქართველოს ნაკრები გუნდების მზადების ცენტრებად უნდა იქცეს. ამიტომ იქ ყველა დარჩენილი სამუშაო დროულად უნდა დამთავრდეს. ფარავნის ტბაზე მოეწყობა სანიჩბოსნო ბაზა, კაპიტალურად შეკეთდება სიონის სანიჩბოსნო სადგური. ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ვალდებული არიან საცხოვრებელ მასივებსა და მიკრორაიონებში აღადგინონ და მოაწყონ სპორტული ნაგებობანი, ამასთან, ყურადღება მიაქციონ ბავშვებისთვის საჭყუმპალაოების მშენებლობას.

ერთი სიტყვით, საქართველოს და საკავშირო სპარტაკიადებისთვის მზადებამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენში მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის განვითარებას.

შემდეგ ო. ჩერქეზიამ ვრცლად ილაპარაკა სსრ კავშირის წინა სპარტაკიადებში, განსაკუთრებით V სპარტაკიადაში, საქართველოს სპორტული დელეგაციის შედეგებზე, მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე, აღნიშნა მთელ რიგ სახეობებში ჩამორჩენის მიზეზები, მოიყვანა ფაქტები.

— ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის დონე ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს, ფიზკულტურული მოძრაობა ჯერ კიდევ არ ქცეულა საერთო-სახალხო საქმედ, ადგილებზე მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობისთვის არსებულ პირობებს მთლიანად ვერ იყენებენ. ცალკეულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა მოსწავლეთა და სტუდენტთა სპორტულ დაოსტატებას, ზოგან კი მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის დონეც დაბალია. ეს ყოველივე დაადასტურა 1973 წლის საკავშირო ახალგაზრდულმა თამაშებმა (ამ ასპარეზობის შედეგები სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ჩათვლაში შედის), სადაც საქართველოს კოლექტივმა კომპლექსურ ჩათვლაში VII ადგილი დაიკავა მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიისა და ყაზახეთის დელეგაციების შემდეგ.

მომხსენებელმა თქვა, რომ ბოლო წლებში ჩვენში კიდევ უფრო ჩამორჩა მძლეოსნობა, ცურვა, კრივი, საგზატკეცილო ველორბოლა, კალათბურთი (ქალები) და ფრენბურთი. სათანადოდ ვერ ვითარდება აფროსნობა.

— მიუხედავად იმისა, რომ მძლეოსნობაში გვყავს მსოფლიო, ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდსმენები, მაგალითად, სამხტომში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სანეევი, თარჯრბენში ევროპის ჩემპიონი ა. მოშიაშვილი, სპორტის ოსტატები მ. ალიაკრინსკაია, გ. გუდაშვილი და ჯ. ფხაკაძე, ამ სახეობის განვითარებაში სამარცხვინოდ ჩამოვრჩებით, — აღნიშნა ო. ჩერქეზიამ. — რესპუბლიკის ნაკრების წევრთა უმეტესობის ტექნიკური შედეგები დაბალია. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში საქართველოს მძლეოსნებმა XIV ადგილი დაიკავეს.

მომხსენებელმა ჩამორჩენის მთავარ მიზეზებად დაასახელა სუსტი ხელმძღვანელობა და აქედან გამომდინარე, მწვრთნელების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება საქმისადმი, სუსტი კონტროლი ადგილებზე სპორტკომიტეტებსა და სპორტსაზოგადოებათა საბჭოების მხრიდან, აგრეთვე, რა თქმა უნდა, მძლეოსნური ბაზების არასახარბიელო მდგომარეობა, რაც ხელს უშლის ამ სახეობის მასობრიობას. მან აღნიშნა, რომ „დინამომაც" კი, რომელიც რესპუბლიკაში მუდამ მოწინავე იყო, ამ მხრივ მუშაობა შეანელა.

ითქვა, რომ რესპუბლიკის უფროს მძლეოსანთა ნაკრებ გუნდში ამჟამად მხოლოდ ერთი ცხინვალელი სპორტსმენია. გუნდში თითო წარმომადგენელიც არ ჰყავთ ისეთ ქალაქებსაც კი, როგორიც არიან ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, ფოთი და რუსთავი.

სერიოზული ნაკლოვანებებია საქართველოს პროფსაბჭოს, თბილისის განათლების განყოფილების, სოხუმის, ბათუმისა და სხვა ქალაქების მძლეოსნური სპორტული სკოლების მუშაობაში, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა არც ერთ საბჭოსთან დღემდე არ არის შექმნილი მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლა. გლდანის სპორტსკოლა-ინტერნატში საშველი არ დაადგა სპეციალური ბაზის აშენებას. შეუწყნარებლად გაჭიანურდა თბილისში მძლეოსნური მანეჟის აგება.

შემდეგ ო. ჩერქეზიამ ცურვის პრობლემებზე ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ამ სახეობის განვითარების ტემპი დაბალია. შარშან საკავშირო შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებმა X ადგილი დაიკავა, მოსწავლეთა გუნდმა კი — XVII. „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზის წლევანდელი გათამაშების ფინალში (უფროსთა შორის) ჩვენი რესპუბლიკიდან მხოლოდ თბილისის „დინამოელი" ი. ლისეცკი გავიდა და ისიც VI ადგილს დასჯერდა, გუნდმა კი IX ადგილი დაიკავა. მომხსენებელმა ამ სახეობაში ჩამორჩენის მიზეზად დაასახელა სუსტი ორგანიზაციული მუშაობა, უკონტროლობა, ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებისადმი, სექციებისადმი, მწვრთნელთა საქმიანობისადმი ნაკლები მომთხოვნელობა, რესპუბლიკაში აუზების მწვავე ნაკლებობა, არსებული ბაზების უხეირობა.

მომხსენებელმა თქვა, რომ თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, სოხუმის, ბათუმისა და სხვა აუზები წლის უმეტეს დროს ცდება. აუზების უკმარობის გამო რესპუბლიკაში არავითარი ყურადღება არ ექცევა ბავშვებისთვის ცურვის მასობრივად სწავლებას.

ო. ჩერქეზიამ ვრცლად ილაპარაკა, აგრეთვე, კრივსა და ველოსპორტში ჩამორჩენის მიზეზებზე, იმაზე, რომ ქვეყნის ოლიმპიურ გუნდებში თანდათან მცირდება საქართველოს სპორტსმენთა რიცხვი, თანდათან კლებულობს თამაშებში ჩვენი მოჭიდავეების მიერ მოპოვებული ქულების რაოდენობა. მომხსენებელმა აღნიშნა ისიც, რომ დაბალია საკავშირო სარბიელზე საქართველოს პროფკავშირული სპორტული საზოგადოებების წარმომადგენელთა შედეგები.

— საქართველოში კრივი 50 წლის წინათ დაინერგა, — თქვა შემდეგ ო. ჩერქეზიამ. — საკავშირო სარბიელზე ერთხანს მოწინავე პოზიციები გვეკავა. საქართველოს გუნდი 1945 წლის საკავშირო ჩემპიონია. 1957 წელს მოზარდებმა II ადგილი დაიკავეს. გვყავდა ჩემპიონები და პრიზიორები პირად ჩათვლაში, მაგრამ 1958 წლიდან მდგომარეობა თანდათან გაუარესდა და ნაკრები ახლა XI-XVI ადგილზე მაღლა ვეღარ ასულა. „ლოკომოტივს", „ბურევესტნიკს", „ვოდნიკს", ასკ-ს კრივში შტატით მომუშავე მწვრთნელებიც კი არ ჰყავთ. არ გვყოფნის დარბაზები, რინგები, ინვენტარი, მწვრთნელები ვერ ახერხებენ ნიჭიერ სპორტსმენთა შერჩევას.

ველოსპორტზე ლაპარაკის დროს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საგზატკეცილო ველორბოლაში პირდაპირ სამარცხვინო მდგომარეობაა — საქართველოს ნაკრები საკავშირო შეჯიბრებებში მუდამ აუტსაიდერია.

მომხსენებელმა თქვა, რომ საქართველოს ჭიდაობაში შესანიშნავი ტრადიციები აქვს. ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდი ცამეტჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, „კლასიკოსთა" კოლექტივი — ცხრაჯერ, ძიუდოისტებმა ერთხელ მოიპოვეს ეს მაღალი წოდება. ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის 120 ჩემპიონი აღიზარდა.

— და მაინც, — განაგრძობს მომხსენებელი, — ბევრი ნაკლია ამ სახეობების განვითარებაშიც. კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ბოლო საკავშირო ჩემპიონატიდან საქართველოს ათლეტებმა ერთი ოქროს მედალიც ვერ ჩამოიტანეს. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, უმაღლესი სასწავლებლები თითქმის არაფერს აკეთებენ ჭიდაობის განვითარებისთვის.

საქართველოს მოჭიდავეებმა მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში 26 ქულა მოაგროვეს, მერე კი მათმა წარმატებამ თანდათან იკლო: რომში 20 ქულას დასჯერდნენ, ტოკიოში — 19,3 ქულას, მეხიკოდან 14 ქულა ჩამოიტანეს, ხოლო მიუნჰენიდან — 9.

შემდეგ მომხსენებელმა გააანალიზა სპორტსმენთა თანამედროვე წვრთნის საკითხები. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო სარბიელზე წარმატების მოსაპოვებლად აღარ კმარა კვირაში ორ-სამჯერ მეცადინეობა, საჭიროა დღეში ორჯერადი ვარჯიში. მოცურავეები წლის მანძილზე საწვრთნელად 3500 კილომეტრს მაინც უნდა ფარავდნენ. მსოფლიოს საუკეთესო ტანმოვარჯიშეები მეცადინეობას წელიწადში 1400 საათს უთმობენ და 6000-მდე ელემენტს ასრულებენ.

დასასრულს ო. ჩერქეზიამ თათბირის მონაწილეებს, რესპუბლიკის ფიზკულტურულ აქტივს მოუწოდა ძალ-ღონე არ დაზოგონ იმისთვის, რომ საქართველოს სპორტმა დაკარგული დიდება დაიბრუნოს, რომ უფრო ფართოდ გაიშალოს მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობა, მეტი ყურადღება მიექცეს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას, რაც სპორტის ნამდვილი საფუძველია, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ყოველგვარ სიყალბეს.

საქართველოს და საკავშირო სპარტაკიადებისთვის აჭარის ფიზკულტურული ორგანიზაციების მზადებაზე ილაპარაკა აჭარის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ ზ. მამუჭაძემ. მან განსაკუთრებით აღნიშნა ხელშემშლელი მიზეზები: სპორტული ბაზების სიმცირე, აკადემიური ნიჩბოსნობის, აფროსნობის, ველოსპორტის ინვენტარის ნაკლებობა.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. შარაშიძემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დედაქალაქის სპორტული ბაზები სათანადოდ მოწყობილი და დატვირთული არ არის.

ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის დირექტორმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. სალარაძემ ილაპარაკა ამ სკოლის მიერ გაწეულ მუშაობაზე, აღნიშნა, რომ აქ უკვე 40 სპორტის ოსტატი და 10 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მომზადდა. შემდეგ მან თქვა, რომ რესპუბლიკაში ჭიდაობის ყველა სახეობის შემდგომი განვითარებისთვის საჭიროა რაიონებში დარბაზების ქსელის გაფართოება. აღნიშნა ისიც, რომ სპორტული ბაზების რაოდენობის მიხედვით საქართველო სსრ კავშირში XIV ადგილზეა.

საქართველოს წყალბურთელთა უფროსმა მწვრთნელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა რ. ჩაჩავამ აღნიშნა, რომ სპორტსმენებს წვრთნისთვის სათანადო პირობები არა აქვთ. მაგალითად, აფხაზეთში 33 წლის წინათ გაცილებით უკეთესი პირობები იყო ვარჯიშისთვის, ვიდრე ამჟამად. არ კმარა აუზები, სათანადო დონეზე არ დგას მოზარდთა შორის წყალბურთის განვითარების საქმე.

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტული სამმართველოს უფროსმა, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ს. ჯაიანმა ილაპარაკა სპარტაკიადებისთვის საქართველოს სპორტკომიტეტის მიერ გაწეულ მუშაობაზე. მან თქვა, რომ ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატები უკვე შეარჩიეს. დამუშავებულია სპორტსმენთა მზადების პერსპექტიული გეგმა. სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში საქართველოდან 475-კაციანი დელეგაცია უნდა გამოვიდეს, კანდიდატებად კი 805 კაცია შერჩეული. ს. ჯაიანმა შეკრებილთ გააცნო საკავშირო სპარტაკიადის გუნდური და პირადი ჩათვლის სისტემა.

თარჯრბენში ევროპის ჩემპიონმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. მოშიაშვილმა ილაპარაკა საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების მძიმე მდგომარეობაზე, თქვა, რომ ზოგიერთ სახეობაში გუნდში ერთი ძლიერი, საიმედო სპორტსმენიც არ არის. მან აღნიშნა, რომ წარმატებისთვის აუცილებელია მეტი რაოდენობით გვქონდეს მანეჟები, სარბენი ბილიკები, სექტორები. ა. მოშიაშვილმა ილაპარაკა, აგრეთვე, მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაციისა და მწვრთნელთა საბჭოს არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე.

ჭადრაკში საერთაშორისო ოსტატის, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონ ნ. ალექსანდრიას გამოსვლა მიეძღვნა სპარტაკიადისთვის საქართველოს მოჭადრაკეთა მზადებას და ამ საქმის ხელისშემშლელ პირობებს. ნ. ალექსანდრიამ აღნიშნა, რომ საჭადრაკო სკოლა შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული.

რესპუბლიკის ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საქმიანობაზე ილაპარაკა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ ი. ბოჭორიძემ.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ივონინი. მან თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს გ. შარაშიძეს გადასცა გარდამავალი თასი და სიგელი, რომელიც თბილისელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს მსოფლიოს, ევროპისა და საკავშირო შეჯიბრებებში შარშან მოგროვებული ქულათა ჯამით სსრ კავშირში III ადგილზე გასვლისთვის.

სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ზ. მახარაძემ.

## „ვოდნიკმა" წითელი დროშა მოიპოვა

„ვოდნიკის" ცენტრალურმა საბჭომ განიხილა საზღვაო და სამდინარო ფლოტის მეზღვაურთა ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შარშანდელი შედეგები.

შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწია „ვოდნიკის" საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ (თავმჯდომარე ვ. იორაშვილი). მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების საუკეთესო ორგანიზაციისთვის მან I ადგილი დაიკავა და გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრა. ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებასა და მასობრივ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში მოპოვებული მაჩვენებლებით „ვოდნიკს" III ადგილი ხვდა.

* * *

საქართველოს მეზღვაურთა შორის ფიზკულტურულ-სპორტულ და გამაჯანსაღებელ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისთვის რესპუბლიკის მეზღვაურთა პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ს. უმანკოშვილი დაჯილდოვდა საქართველოს პროფსაბჭოს საპატიო სიგელით.

სიგელებით დაჯილდოვდნენ, აგრეთვე, ცალკეული ფიზკულტურული კოლექტივები და საზოგადოებრივი აქტივისტები.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 1 : 1

**მოსკოვი, 11 მაისი.** ადგილობრივი „ლოკომოტივის“ სტადიონზე დღეს საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია პირველი ლიგის ფეხბურთელთაგან შემდგარი ორი ნაკრების ამხანაგურმა შეხვედრამ. ეს მატჩი სსრ კავშირის ეროვნული გუნდისთვის მოთამაშეების შერჩევა-დათვალიერებას ისახავდა მიზნად. დაძაბული თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1.

სსრ კავშირის პირველი ნაკრების მწვრთნელებმა კ. ბესკოვმა და ა. პარამონოვმა 25 ფეხბურთელი ათამაშეს.

კორესპონდენტებთან საუბარში კ. ბესკოვმა განაცხადა:

— ჯერ ადრეა იმის თქმა, თუ ვის რა უნარი აქვს. ამიტომ მატჩის საუკეთესო მოთამაშეებს არ დავასახელებ. ვიმედოვნებ, რომ ამგვარი შეხვედრები ტრადიციად იქცევა, რაც დიდად შეუწყობს ხელს პირველი ლიგის ფეხბურთელთა ოსტატობის ზრდას და ალბათ ჩვენც დაგვეხმარება საქმიანობაში.

# საქართველოს ბადმინტონისტთა პლენუმი

ამას წინათ თბილისში გაიმართა საქართველოს ბადმინტონის ფედერაციის პლენუმი. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე გ. სამსონაძე.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. საქართველოს ბადმინტონის ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს ი. კალანდარიშვილი, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ — გ. ამირხანოვი, ხოლო მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ — გ. სამსონაძე.

პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებები რესპუბლიკაში ბადმინტონის შემდგომი განვითარებისთვის.

# პატარა დარბაზში

ჩატარდა თბილისის ახალგაზრდა ძიუდოისტთა პირად-გუნდური საუწყებო პირველობა, რომელშიც 70-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. სარბიელზე საპატიო მიზეზით არ გამოვიდა „ბურევესტნიკის“ ნაკრები, რომლის წევრებიც გორში საქართველოს უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში ასპარეზობდნენ.

პირველობა საინტერესოდ წარიმართა. მან ერთხელ კიდევ ცხადყო ძიუდოს პოპულარობა ახალგაზრდებში. დასანანია, რომ ასეთი კარგი შეჯიბრება ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე პატარა საჭიდაო დარბაზში ჩატარდა, სადაც მონაწილენიც კი გაჭირვებით ეტეოდნენ.

გუნდური გამარჯვება „დინამოს“ ხვდა. II ადგილი დაიკავეს „სპარტაკის“, III — „ლოკომოტივის“ წარმომადგენლებმა.

**ი. იმერლიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

# არავითარი კონტაქტი რასისტებთან

**დარ-ეს-სალამი, 13 მაისი.** (საქდესი). ტანზანია ყოველგვარ სპორტულ კავშირს წყვეტს ინგლისთან, ვინაიდან ამ ქვეყნის რეგბისტთა გუნდი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ იოჰანესბურგში ჩავიდა საასპარეზოდ. ეს გამოაცხადა ეროვნული კულტურისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ სემბუჩემ.

— ჩვენ ვერ გავაგრძელებთ ურთიერთობას იმ ქვეყანასთან, რომელიც რასისტებთან თანამშრომლობს, — თქვა მან.



— ბოლო შენა ხარ, შვილო?

გ. ფირცხალავას ნახატი.

## სსრ კავშირის პირველობა



10 მაისს გამართული მორიგი ტურის კალენდარული მატჩები ასე დამთავრდა:

„ლორი“ (კიროვაკანი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 0:0, „ტორპედო“ (ვლადიმირი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0, „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) — „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) 2:0, „დინამო“ (ვოლოგდა) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:1, „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:0, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 4:1, „დინამო“ (ბრიანსკი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 3:0, „ურალანი“ (ელისტა) — „დინამო“ (ბათუმი) 0:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „დილა“ (გორი) 2:1.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (ვოლოგდა) | 7 | 6 | 1 | 0 | 10—3 | 13 |
| „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) | 7 | 4 | 2 | 1 | 10—4 | 10 |
| „ტორპედო“ (ვლადიმირი) | 7 | 5 | 0 | 2 | 9—4 | 10 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 7 | 4 | 2 | 1 | 6—2 | 10 |
| „ისკრა“ (სმოლენსკი) | 7 | 4 | 1 | 2 | 12—6 | 9 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 7 | 3 | 3 | 1 | 10—7 | 9 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 5 | 4 | 0 | 1 | 9—2 | 8 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 6 | 3 | 2 | 1 | 7—4 | 8 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 7 | 2 | 3 | 2 | 5—5 | 7 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 7 | 3 | 1 | 3 | 4—7 | 7 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 6 | 2 | 2 | 2 | 9—7 | 6 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 7 | 1 | 4 | 2 | 5—5 | 6 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 7 | 3 | 0 | 4 | 8—10 | 6 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 7 | 2 | 2 | 3 | 3—5 | 6 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 7 | 2 | 1 | 4 | 7—8 | 5 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 7 | 1 | 1 | 5 | 3—8 | 3 |
| „დილა“ (გორი) | 6 | 1 | 1 | 4 | 4—10 | 3 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 6 | 1 | 1 | 4 | 2—8 | 3 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 6 | 0 | 2 | 4 | 3—12 | 2 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 6 | 0 | 1 | 5 | 2—11 | 1 |

# ბობი ჩარლტონის დაბრუნება

**ლონდონი, 12 მაისი.** ინგლისის ფეხბურთის მთელს ისტორიაში მისმა ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა, სახელგანთქმულმა ბობი ჩარლტონმა, რომელიც აქტიურ სპორტს ამ ერთი წლის წინათ ჩამოშორდა, გადაწყვიტა გაისად ისევ დაუბრუნდეს მწვანე მინდორს. ამჯერად იგი გამოვა ქალაქ პრესტონის გუნდის შემადგენლობაში, რომელსაც III ლიგაში უწევს თამაში.

მიზეზები, რომლებმაც 36 წლის ჩარლტონი აიძულა კვლავ ჩაეცვა ბუცები, ერთობ სევდიანია. ერთი წლის წინათ იგი „პრესტონ ნორთ ენდის“ მწვრთნელი გახდა, მაგრამ ახალ სფეროში წარმატებას ვერ მიაღწია: წლევანდელი სეზონის შედეგების მიხედვით ბობის გუნდმა II ლიგა დატოვა და მესამეში გადავიდა.

— შესაძლოა, როგორც ფეხბურთელი, უფრო დავეხმარო „პრესტონ ნორთ ენდს“ II ლიგაში დაბრუნებაში, — თქვა ჩარლტონმა.

# თბილისის კალათბურთელ ქალთა გუნდის წარმატება

ვარშავა, 13 მაისი. ფეიქრის დღისადმი მიძღვნილ აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში I ადგილი დაიკავა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ძეკონსკი).

შეჯიბრების ბოლო დღეს თბილისელებმა ანგარიშით 86:76 (40:42) სძლიეს პოზნანის „ლეხს“, რომელმაც III ადგილი დაიკავა. II ადგილზეა ლკს (ვარშავა).

„ლეხთან“ თამაშში თბილისელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო სურგულაძე, რომელმაც თავის გუნდს 21 ქულა შესძინა. პოლონელთაგან თავი გამოიჩინა სტრუქინამ — 27 ქულა.

# პირველიც, მეორეც, მესამეც...

ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა 1955-56 წლებში დაბადებული ჭაბუკებისა და 1956-57 წლებში დაბადებული ქალიშვილების პირველი საკავშირო პირველობა მძლეოსნობაში. ტურნირს სამართლიანად უწოდეს ოლიმპიური რეზერვის ასპარეზობა. ეს შეჯიბრება ამავე დროს იყო იმ გუნდის წევრთა პირველი შესარჩევი ტურნირი, რომელიც აშშ-ს ესტუმრება იქაურ თანატოლებთან მატჩის გასამართავად.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. I ჯგუფში 30-30 სპორტსმენისგან დაკომპლექტებული რვა კოლექტივი გამოდიოდა, II ჯგუფის ცხრა გუნდს კი 9-9 მძლეოსნის გამოყვანის უფლება ჰქონდა.

საქართველოს სპორტსმენებმა II ჯგუფში 37 ქულა მოაგროვეს და პირველობა დაისაკუთრეს. მათ ქულით აჯობეს უზბეკეთის მძლეოსნებს. ყირგიზეთისა და მოლდავეთის გუნდებმა III-IV ადგილები გაინაწილეს.

ორივე ჯგუფის ათლეტები პირად ასპარეზობაში გამარჯვებისთვის ერთად იბრძოდნენ. საქართველოს მძლეოსნებმა რამდენიმე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. განსაკუთრებით იმარჯვა გ. კობიაშვილის აღსაზრდელმა, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა თ. აჯოევმა („ბურევესტნიკი“), რომელმაც 100 მეტრზე რბენაში ჩემპიონობა მოიპოვა — 10,91. მან კიეველ ვ. რატუშნის 0,02 წამით აჯობა.

200 მეტრზე რბენის ფინალში თავიდან ბ. მექვაბიშვილი და უნივერსიტეტის სტუდენტი დ. მელაძე („ბურევესტნიკი“) დაწინაურდნენ. ისინი პირველობისთვის ერთმანეთს ებრძოდნენ და ერთიმეორეს თვალს არ აშორებდნენ, რითაც ისარგებლა ა. ეერდევმა (უკრაინა) და ზედ ფინიშთან ორივე ჩამოიტოვა — 22,01. მექვაბიშვილის დროა 22,02, მელაძისა — 22.06.

III საპრიზო ადგილი დაიკავა გ. გუნჩინმაც („განთიადი“), რომელიც 692 სმ სიგრძეზე გადახტა. 100 მეტრზე თარჯრბენში თბილისელი ტ. მერკულოვა („ბურევესტნიკი“) ფინიშთან მეხუთე მივიდა — 15,33.

შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ასპარეზობის მონაწილეებისთვის წვიმას რომ არ შეეშალა ხელი.

**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**
მოსკოვი.

# სპარტაკიადა დათვალიერებით დაიწყო

ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე გუშინწინ საზეიმოდ გაიხსნა აჭარის მოსწავლეთა XXVI საოლქო სპარტაკიადა. ტრიბუნების წინ მწყობრი ნაბიჯით ჩაიარა ქალაქ ბათუმის, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, ხულოს და შუახევის რაიონების ნაკრები გუნდების 600-მდე სპორტსმენმა.

სპარტაკიადის მონაწილეებს სიტყვით მიმართა აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა ვ. წულუკიძემ. საუკეთესო მოსწავლე სპორტსმენებმა სპარტაკიადის ალამი აღმართეს.

მოეწყო ბათუმის საშუალო სკოლების მოსწავლეთა სამწყობრო დათვალიერება. ჟიურიმ I ადგილი და გარდამავალი პრიზი მე-7 რუსული საშუალო სკოლის აღსაზრდელებს მიაკუთვნა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან მე-15 და მე-11 სკოლების გუნდები.

სპარტაკიადის პროგრამაშია მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ფეხბურთი და მშდ კომპლექსის მრავალჭიდი.

სპარტაკიადა ერთ კვირას გასტანს.

**(ჩვენი კორ.).**
ბათუმი.

# თბილისის „სწრაფ“ ტრეკზე

50-ანი წლების დამდეგს ტრადიციად დამკვიდრდა უძლიერესი „საველოსპორტო“ ქალაქების წარმომადგენელთა მატჩების ჩატარება. ამ შეჯიბრებაში ახევე ტრადიციულად მონაწილეობენ თბილისელი ველოსიპედისტებიც. შარშან მაისში ასპარეზობა თბილისში ჩატარდა. გასაგებია, რომ ველოსიპედისტებმა თავშეყრის ადგილად წლეულსაც ჩვენი დედაქალაქი აირჩიეს: თბილისის ველოსტადიონი ხომ ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო სსრ კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. სპორტსმენებმაც და სპეციალისტებმაც თბილისის ველოსტადიონს „სწრაფი“ უწოდეს. ჩვენი სტადიონი მართლაც ამართლებს ამ სახელს, ეს შეჯიბრებამაც გვიჩვენა. თუმცა... მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრულად.

შაბათს დაიწყო ტრადიციული მატჩი, რომელშიც თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, ტულისა და სომხეთის ველოსიპედისტები მონაწილეობენ.

II ჯგუფის ტურნირი სიმფეროპოლში მიმდინარეობს, ხოლო III ჯგუფისა — ლენინაბადში.

თბილისის ტურნირი უმაღლესი რანგისა რომ არის, ეს იმითაც დასტურდება, რომ აქ სარბიელზე გამოდის სსრ კავშირის ნაკრების თითქმის ყველა წევრი: მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების პრიზიორები ვ. სემენეცი (ლენინგრადი), ი. ცელოვალნიკოვი (ხარკოვი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გ. ცარიოვა (ლენინგრადი) და სხვები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. აღარას ვამბობთ სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონებზე, პირველობათა პრიზიორებზე ბ. რომანოვზე (ტულა), ს. კრავცოვზე, ლ. ზადოროჟნაიაზე (ორივე — ხარკოვი) და სხვ.

ჩვენი ველოსტადიონის „სისწრაფე“ პირველივე სახეობაში დადასტურდა. სვლით 500 მეტრზე გიტში კრავცოვმა 28,4 წამი აჩვენა. ეს მსოფლიო მიღწევაზე უკეთესი შედეგია, მაგრამ რეკორდად ვერ დამტკიცდება, ვინაიდან სადოპინგო კომისია არ მუშაობდა და არც წამმზომები იყო „ომეგის“ მარკისა. დასანანი კია!

II ადგილზე გავიდა ტულელი ვ. კოპილოვი (29,1), III — ახალგაზრდა თბილისელი სპორტის ოსტატი ი. ვოლკოვი — 29,9.

ვოლკოვის ტრიუმფით დამთავრდა ადგილიდან 1000 მეტრზე გიტი. მან არა მარტო მოიგო I ადგილი, არამედ რესპუბლიკური რეკორდიც დაამყარა — 1.08,7. II ადგილზეა მოსკოველი ა. ვორონინი (1.08,8), III — სემენეცი (1.09,4).

4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში ყველას აჯობა მოსკოველმა მ. მალახოვმა — 4.57,0. II ადგილზეა კიეველი ს. ეგოროვი — 5.00,0. III ადგილისთვის ბრძოლაში თბილისელმა ვ. ივანოვმა 0,2 წამი წააგო მოსკოველ ა. იანუშევიჩთან — 4.57,8.

ამით ამოიწურა პირველი დღის პროგრამა.

კვირას ასპარეზობა გაგრძელდა. ამჯერად შეჯიბრების ჩატარება მოხერხდა მხოლოდ ორ სახეობაში, ვინაიდან საღამოს თავსხმამ აიძულა მონაწილენი სარბიელი დაეტოვებინათ.

იუნიორთა სპრინტში გაიმარჯვა ტულელმა ა. ბარიმოვმა. II ადგილი დაიკავა მისმა თანაქალაქელმა ვ. ბულგაკოვმა, III — კიეველმა ა. კოსტინმა. კარგად გამოვიდნენ თბილისელები დ. არაბიძე, ი. სივოჟელეზოვი და ს. ამირანაშვილი, რომლებმაც შესაბამისად VII, VIII და XI ადგილები დაიკავეს.

სვლით 500 მეტრზე გიტში ქალთა შორის ორმა სპორტსმენმა მსოფლიო რეკორდზე უკეთესი დრო აჩვენა. ესენი იყვნენ ტულელი თ. პილშჩიკოვა (32,0) და ცარიოვა (32,2), მაგრამ ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო ეს შედეგები რეკორდებად ვერ ჩაითვლება. III ადგილზეა ტ. სამოილენკო (ხარკოვი) — 33,0.

ორი დღის ასპარეზობის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ ტულის წარმომადგენლები — 343 ქულა. II ადგილზე არიან ლენინგრადელები (216), III — მოსკოველები (204), IV — თბილისელები (154).

დღეს შეჯიბრება მთავრდება.

**ა. მხეიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაფრინე კლაკლიო...

წყალბურთი მუდამ ამშვენებდა მოსწავლეთა სპარტაკიადების პროგრამას, წლეულს კი თბილისის მოსწავლეთა ასპარეზობის პროგრამაში სპორტის ამ სახეობის შეტანა ბევრს არ სურდა.

მიზეზი ის იყო, რომ თბილისელ მოსწავლეთა შორის წყალბურთს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ამ უყურადღებობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, პირველ ყოვლისა, საცურაო აუზების ნაკლებობაა. საქმეს აფერხებს ისიც, რომ წყალბურთელთა ჯგუფებს თბილისის თითებზე ჩამოსათვლელ აუზებზე გერებივით უყურებენ. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ამ ორიოდე თვის წინათ გამართულმა ჭაბუკ წყალბურთელთა რესპუბლიკურმა პირველობამ, სადაც თბილისელთა გუნდები უსუსური ჩანდნენ და პირველობა ბევრად უფრო ძლიერ ბათუმელთა კოლექტივს დაუთმეს. ბევრ სადავო საკითხზე ამომწურავ პასუხს იძლევა თუნდაც ის გარემოება, რომ **თბილისში საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებსაც არა აქვს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების ნორმალური პირობები.**

თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის დებულებაში ნათლადაა განმარტებული წყალბურთში შეჯიბრების ჩატარების მიზანი: მოსწავლეთა შორის ამ სახეობის შემდგომი პოპულარიზაცია და მისი მასობრიობისთვის ბრძოლა, რესპუბლიკის ნაკრები გუნდისთვის საუკეთესოთა გამოვლენა და სხვ. მაგრამ რომელ პოპულარობაზე, მასობრიობასა და საუკეთესო სპორტსმენებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა **წყალბურთელთა გუნდი სინამდვილეში თბილისის არც ერთ რაიონს არა ჰყავს** და ისინი მხოლოდ შეჯიბრების დღეებში ჩნდებიან ხოლმე რაღაც მანქანებით? განა ამთავითვე ცნობილი არ არის, რომ საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაშიც სარბიელზე სწორედ იმ მოთამაშეებს და გუნდებს ვიხილავთ, რომლებიც ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობდნენ? ვიცით ყველაფერი და მაინც თავს ვიტყუებთ, წყალში ვყრით სახსრებს, რომელთა გონივრულად გამოყენებითაც (მხედველობაში გვაქვს თბილისის რაიონებში ჯგუფების გახსნა) შეიძლებოდა როგორმე ფეხზე წამომდგარიყო თითქმის მიწასთან გასწორებული მოზარდთა წყალბურთი.

ახლა ისიც ვნახოთ, რა გვიჩვენა თბილისის სპარტაკიადამ. განაცხადებს თუ დავუჯერებთ, აღტაცებულიც უნდა ვიყოთ — დედაქალაქის რვა რაიონიდან ასპარეზობას მხოლოდ კიროვის რაიონმა აარიდა თავი. გასაგებია, როგორი იქნებოდა სახელდახელოდ შეკოწიწებული გუნდების ოსტატობაც. წყალბურთის ტექნიკაზე რომ არაფერი ვთქვათ, **ბევრმა მონაწილემ ცურვაც არ იცოდა ხეირიანად.** ოქტომბრის რაიონის გუნდი, მაგალითად, ფინიშამდე გამოეთიშა ასპარეზობას.

ერთი სიტყვით, **ეს იყო არაფრის მთქმელი შეჯიბრება,** მან თავისი მიზანი მხოლოდ საპრიზო ადგილების განაწილებით ამოწურა. ადგილები კი ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 26 კომისრის სახელობის რაიონი, ორჯონიკიძის რაიონი, პირველი მაისის რაიონი.

**თ. გაჩეჩილაძე.**

• • •

სურათზე: პირველი მაისისა და კალინინის რაიონების წყალბურთელთა შეხვედრის მომენტი. გაიმარჯვა პირველი მაისის რაიონის გუნდმა — 8:4.

მ. ზარგარიანის ფოტო.



WBP 27• COURSE DE LA PAIX 1974

# ორმო... სტადიონის ბილიკზე, მერე კი — I ადგილი

ზელენა გურა (პოლონეთი), 11 მაისი. საბჭოთა ველოსიპედისტმა გ. ლიხაჩოვმა სულ ტყუილუბრალოდ დაკარგა I ადგილი მშვიდობის XXVII ველორბოლის III ეტაპის მიწურულს: პოზნანის სტადიონის ბილიკზე ძლიერი საფინიშო სპურტის დროს მისი ველოსიპედის წინა თვალი ორმოში ჩავარდა და სპორტსმენმა სასწაულით შეინარჩუნა წონასწორობა (როგორც ცნობილია, ლიხაჩოვმა III ადგილი დაიკავა). ამჯერად მან საწადელს მიაღწია: ყველას აჯობა IV ეტაპზე (პოზნანი — ზელენა გურა, 126 კმ). გამარჯვებულის დროა 2:36.56 (ბონიფიკაციის ჩათვლით).

ფინიშთან მეორე იყო პოლონელი ს. შოზდა (2:37.06), ხოლო მესამე — ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი ვ. მორავეცი (2:37.16).

ლიხაჩოვის წარმატების წყალობით საბჭოთა ნაკრებმა საგრძნობლად გაიმაგრა პოზიცია გუნდურ ჩათვლაში, თვითონ ლიხაჩოვმა კი ოთხი ეტაპის ჯამში II ადგილზე გადაინაცვლა და ახლა თანაგუნდელ ა. პიკუუსს მხოლოდ 16 წამით ჩამორჩება.

შჩეცინი, 12 მაისი. კვირა დღეს მშვიდობის ველორბოლაში თამამად შეიძლება „გრძელი დღე" ვუწოდოთ: სპორტსმენებს ორ ეტაპზე მოუხდათ ასპარეზობა. ჯერ იყო ინდივიდუალური რბოლა 48,5 კილომეტრზე მეძიჟეციდან გოჟუვ ველიკოპოლსკამდე, მერე კი — 106-კილომეტრიანი ეტაპი გოჟუვი — შჩეცინი.

ინდივიდუალურ რბოლაში გაიმარჯვა გდრ-ის წარმომადგენელმა დ. გონშორეკმა — 1:04.32. ფინიშთან მეორე იყო ფინელი ჰ. ჰანუსი — 1:04.39. III ადგილი დაიკავა ტ. მიტნიკმა (1:05.05), რომელზეც პოლონელი გულშემატკივრები ყველაზე დიდ იმედს ამყარებენ.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა პოლონეთის ნაკრებმა — 3:15.49. II ადგილზეა გდრ-ის გუნდი (3:17.00), III — სსრ კავშირის ნაკრები (3:17.09).

რბოლის ლიდერი პიკუუსი V ეტაპზე მთლად კარგად ვერ გამოვიდა — VIII ადგილი დაიკავა (1:05.48). ახალგაზრდა ტარტუელმა მრბოლელმა ლიდერის მაისური დათმო: მას ორმა სპორტსმენმა გაუსწრო. ესენი არიან მიტნიკი (10:52.22) და გონშორეკი (10:52.46). პიკუუსის დრო კი ხუთი ეტაპის ჯამში ასეთია: 10:52.55.

VI ეტაპი მოიგო შოზდამ—2:24.09. მეორე იყო მ. მილდე (გდრ), მესამე — ტ. ვასილე (რუმინეთი).

### შეკანაკანებელ საათს

შჩეცინის სტადიონის ბილიკზე გამართულ ფინიშთან პირველი მიიჭრა ლიხაჩოვი, მაგრამ მსაჯების აზრით მან ხელი შეუშალა II ადგილზე მყოფ შოზდას. მსაჯთა კოლეგიამ ლიხაჩოვს დისკვალიფიკაცია მისცა და ძირითადი ჯგუფის ბოლო სპორტსმენის დრო ჩაუთვალა, გამარჯვებულად კი შოზდა გამოაცხადა.

ყოველივე ამის გამო ლიხაჩოვი, რამდენიმე საფეხურით დაწინაურების ნაცვლად, XVI ადგილზე დაეშვა — 13:19.59. რბოლის ლიდერი გახდა მიტნიკი — 13:17.11. II ადგილზეა გონშორეკი (13:17.35), III — პიკუუსი (13:17.44).

მოწინავე ათეულში კიდევ ორი საბჭოთა მრბოლელია: ნ. გორელოვი (IV ადგილი, 13:18.15) და ა. ჩუხოვი (X, 13:19.10).

გუნდურ ჩათვლაში მოწინავე სამეული: პოლონეთი — 39:52.23, სსრ კავშირი—39:53.49, გდრ—39:54.39.

ჭადრაკში

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი

• •

# ალექსანდრია — შული 1:0

რიგა, 12 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ლატვიის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო ნ. ალექსანდრია (თბილისი) — მ. შულის (ლვოვი) მატჩის I პარტია. თეთრებით ალექსანდრია თამაშობდა.

შულმა მშვიდობიანი რუსული პარტია აირჩია. იგი ალბათ სწრაფ ყაიმზე ფიქრობდა, მაგრამ ნანამ უჩვეულოდ და ორიგინალურად განავითარა ფიგურები. მე-8 და მე-9 სვლებით მან ხელთ იგდო ინიციატივა. მე-12 სვლის შემდეგ შული კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ნანა მეფის პოზიციას დარბევით ემუქრებოდა. ამიტომ შულმა გადაწყვიტა თამაში გადაეყვანა ენდშპილში, სადაც შეწირულ პაიკში ორი კუს უპირატესობა ექნებოდა. უკეთესად ვერც ითამაშებდა. მაგალითად, თუ 12. ... მe8 (12. ... მd7 ფიგურას აგებს), მაშინ — 13. ლh5 მf6 14. ლh4 დიდი უპირატესობით.

ნანას შეეძლო შეენარჩუნებინა ზედმეტი პაიკი 16. a3 რომ ეთამაშა. რა თქმა უნდა, შული ვერ იბრუნებდა პაიკს 15. ... კ:a2-ით, ვინაიდან უარეს პოზიციას მიიღებდა 16. მg6 fg 17. ე:e7 ეf7 18. ეde1 მუქარით b3. შულს არც 17. ... კ:g2 შეეძლო 18. მd7 ეfe8 19. ეde1-ის გამო.

როცა თითო ეტლი გაიცვალა, შულმა გაბედა თავისი პაიკი უკან დაებრუნებინა. იგი მართებულად ფიქრობდა, რომ კუ მახეში არ გაებმებოდა, მაგრამ მდგომარეობა მაინც უარესი რჩებოდა. სწორი იყო 28. ... კb1. ნანას კვლავ ზედმეტი პაიკი ექნებოდა, შულს კი — ყაიმის შანსი. ეტლების ენდშპილში ალექსანდრიას გამსვლელმა პაიკებმა უფრო იმარჯვეს.

მე-40 სვლაზე შულმა დროს გადააცილა, მაგრამ პოზიცია უკვე უიმედო ჰქონდა. 40. ... gh 41. c7 შემდეგ ის ისედაც უნდა დანებებულიყო.

მინდა აღვნიშნო, რომ პარტიის პირველ ნახევარში ალექსანდრია ძალიან ბევრს ფიქრობდა. ბოლო 17 სვლისთვის მას ხუთი წუთიღა ჰქონდა დარჩენილი, შულს — 20. მაგრამ მერე ლვოველი ოსტატი უფრო მეტს ფიქრობდა და ბოლოს ცაიტნოტში თამაშობდა.

გთავაზობთ I პარტიას.

**ალექსანდრია — შული**

რუსული პარტია

1. e4 e5 2. მf3 მf6 3. d4 მ:e4 4. კd3 d5 5. მ:e5 კd6 6. მd2 მ:d2 7. კ:d2 მd7 8. ლh5 ლe7 9. 0—0—0 მf6 10. ლg5 0—0 11. ეhe1 კe6 12. ეe3 მe4 13. ლ:e7 კ:e7 14. კ:e4 de 15. ე:e4 ეfe8 16. ეde1 კd5 17. ე4e2 კd6 18. g3 f6 19. მd3 ე:e2 20. ე:e2 კ:a2 21. b3 კa3+ 22. მფd1 a5 23. კc1 კd6 24. მc5 კ:c5 25. dc a4 26. ეe3 ეd8+ 27. კd2 ab 28. cb ეd7 29. მფc1 კb1 30. მფ:b1 ე:d2 31. ეe7 ე:f2 32. ე:c7 ე:h2 33. ე:b7 ეh1+ 34. მფb2 ეh2+ 35. მფc3 ეh1 36. მფd4 ეc1 37. b4 h5 38. b5 g5 39. c6 h4 40. gh.

ნ. ჟურავლიოვი,
ჟურნალ „შახმატის" პასუხისმგებელი მდივანი.

# 12 ტურის შემდეგ

**საქართველოს ვაჟთა XXXV პირველობა. XII ტური.** ე. მიქაელიანი — ზ. აზმაიფარაშვილი 0,5:0,5, ზ. ბურჭულაძე — ა. ბოკუჩავა 0,5:0,5, გ. კალატოზიშვილი — ზ. მიქაძე 1:0, გ. ზაიჩიკი (ყველა — თბილისი) — ჯ. ბერაძე (წყალტუბო) 1:0, რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი) — გ. ბიბილაშვილი (რუსთავი) 1:0, ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — ა. ბუსლაევი (თბილისი) 0,5:0,5. სამი პარტია გადაიდო.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მოსწავლე ბურჭულაძე. ოსტატ ბოკუჩავასთან შეხვედრაში მან აქტიურად იბრძოლა ალიოხინის დაცვის წინააღმდეგ. როცა მოგებაზე თამაშის შანსი ამოიწურა, მეტოქენი დაზავდნენ.

საუცხოოდ თამაშობს ახალგაზრდა ზაიჩიკიც. იგი შეუპოვარი და მიზანმიმსწრაფი მოჭადრაკეა. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა მის პარტიაში ოსტატ ბერაძესთან, რომელსაც 30 სვლაში მოუგო.

ლიდერებიდან მხოლოდ ჯინჯიხაშვილმა ჩაიწერა ქულა. ე. უბილავამ და ე. გუფელდმა (ორივე — თბილისი) პარტიები ვერ დაამთავრეს.

**გადადებული პარტიების დამთავრება.** ლ. ნეურონოვი (ბათუმი) — ბუსლაევი 0,5:0,5, ბურჭულაძე — კ. ჩიგოგიძე (თბილისი) 0:1, ბერაძე — უბილავა 0,5:0,5, ზაიჩიკი — ტუზოვსკი 0,5:0,5, გუფელდი — ჯინჯიხაშვილი 1:0, ბუსლაევი — ჯინჯიხაშვილი 0,5:0,5, ჩიგოგიძე — ზაიჩიკი 0:1, ბიბილაშვილი — ბურჭულაძე 0:1, ბერაძე — თ. ლომაია (თბილისი) 0,5:0,5, გუფელდი — მ. ჭიპაშვილი (თბილისი) 1:0, ნეურონოვი — ჩიგოგიძე 0,5:0,5, მიქაელიანი — ლომაია 1:0.

12 ტურის შემდეგ ლიდერობენ: გუფელდი — 9,5 ქულა, უბილავა — 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ჯინჯიხაშვილი — 8, ზაიჩიკი — 7, ბუსლაევი, აზმაიფარაშვილი — 6,5-6,5.

გუფელდთან პარტიაში ჯინჯიხაშვილის მეფეს მხოლოდ ფიგურები იცავდა. გუფელდმა ლაზიერისა და ეტლის შეთანხმებული მოქმედებით შეავიწროვა ოსტატის მეფის დამცველი ფიგურები. გარდაუვალი მატერიალური ზარალის საფრთხის გამო ჯინჯიხაშვილი დანებდა.

ბუსლაევთან ჯინჯიხაშვილმა მწვავე თამაში განაგრძო და ინიციატივის დაუფლებას შეეცადა, მაგრამ ბუსლაევმა ეტლის შეწირვით პარტია მუდმივი ქიშით დაამთავრა.

ზუსტი ანალიზით ზაიჩიკმა მოუგო ჩიგოგიძეს. ბერაძემ ეტლების ენდშპილში სცადა გამოეყენებინა თავისი ფიგურების უკეთესი განლაგება, მაგრამ ლომაიამ მარჯვე დაცვით 74-ე სვლაზე ყაიმს მიაღწია.

• • •

**საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. XII ტური.** გ. აპრესოვა (გორი) — ა. ჩაიკოვსკაია 0:1, ქ. გეგიძე — ვ. კუპრაშვილი 1:0, ნ. გურიელი — ნ. მანველოვა 0,5:0,5, ლ. ბელოზიოროვა — ც. კობაიძე 0:1, ნ. იოსელიანი — მ. მამისთვალოვა 0,5:0,5, მ. ვაჩეიშვილი — მ. წერეთელი 0:1, ქ. გაჩეჩილაძე (ყველა — თბილისი) — ნ. ჯანჯღავა (ცხაკაია) 1:0. სამი პარტია გადაიდო.

**გადადებული პარტიების დამთავრება.** თ. ხუგაშვილი — ე. ბაშინურიძე (ორივე — თბილისი) 1:0, გურიელი — ჯანჯღავა 0,5:0,5, ბელოზიოროვა — მამისთვალოვა 0:1, გაჩეჩილაძე — წერეთელი 0,5:0,5, იოსელიანი — ც. კახაბრიშვილი (თბილისი) 0:1, მანველოვა — ლ. თანდაშვილი (თბილისი) 0:1, ნ. ხუბულური (ონი) — კახაბრიშვილი 0,5:0,5, კუპრაშვილი — აპრესოვა 0,5:0,5, მამისთვალოვა — გურიელი 0,5:0,5, კახაბრიშვილი — ვაჩეიშვილი 0,5:0,5, ჯანჯღავა — თანდაშვილი 0,5:0,5.

12 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: კობაიძე — 9 ქულა 11-დან, წერეთელი — 9, ჩაიკოვსკაია, გაჩეჩილაძე — 8,5-8,5 ქულა 11-დან, კახაბრიშვილი — 8,5, ხუგაშვილი — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია 11-დან, გეგიძე — 7.

მ. კალანდაძე (თბილისი) ავადმყოფობის გამო პირველობას გამოეთიშა. მისი შედეგები გაუქმდა.

**თ. ნინოშვილი.**

ლელოს ტელეფონით

# შეხვედრები ფინიშზე

დორტმუნდში (გფრ) დასასრულს მიუახლოვდა ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. „ლელოს" კორესპონდენტი გუშინ დაუკავშირდა დორტმუნდს და ესაუბრა ტურნირის მონაწილეს, მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს.

— VIII ტურით ფინიში დავიწყეთ, — თქვა ნონამ. — მე შევხვდი იუგოსლაველ დიდოსტატ დამიანოვიჩს, რომელიც, სხვათა შორის, 1965 წელს თბილისში იყო და საქართველოს ვაჟთა პირველ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა.

დიდოსტატმა სიცილიური დაცვის პაულსენის ვარიანტი გაითამაშა. მალე ცენტრში მდგომარეობა დაიძაბა. ვცადე გამომეყენებინა ლაზიერის ფრთაზე შავი პაიკების სისუსტე, მაგრამ დამიანოვიჩმა ცენტრში ბევრი ფიგურა გაცვალა და თამაში ეტლების თანაბარ დაბოლოებაში გადავიდა. ამიტომ ყაიმზე შევთანხმდით. აი, პარტიაც:

**გაფრინდაშვილი — დამიანოვიჩი**

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 a6 5. კd3 მc6 6. კe3 მf6 7. 0—0 ლc7 8. მd2 d5 9. მ:c6 bc 10. c4 კd6 11. cd ed 12. h3 0—0 13. ლc2 h6 14. ეac1 კd7 15. ed მ:d5 16. მc4 ეfe8 17. კh7+ მფh8 18. კf5 კe6 19. a3 კf4 20. მფh1 ეad8 21. b4 კ:f5 22. ლ:f5 კ:e3 23. მ:e3 მ:e3 24. fe ე:e3 25. ლ:f7 ლ:f7 26. ე:f7 ე:a3 27. ე:c6. ყაიმი.

ყაიმით დამთავრდა კიდევ სამი შეხვედრა: ბუში — ჰიუტემანი, ზერვატი (სამივე — გფრ) — პაოლი (იტალია), პიტელი (პოლონეთი) — საბო (უნგრეთი). ჩოკილტიამ (რუმინეთი) მოუგო ბორაკს. დაუმთავრებელი დარჩა ბახმან — კრაუზელის (სამივე — გფრ) პარტია.

IX ტურში დიდოსტატებმა გაიმარჯვეს: საბომ — ბახმანთან, დამიანოვიჩმა — ბუშთან. ბორაკმა მოუგო პაოლის. ყაიმზე შეთანხმდნენ ჩოკილტია — პიტელი და ჰიუტემანი — ზერვატი.

მე კრაუზელს ვეთამაშე. ბრძოლა გრიუნფელდის დაცვით დავიწყეთ. შუა პარტიაში ორი ფიგურა შევწირე ეტლსა და ორ პაიკში, რამაც უპირატესობა მომიტანა. მივიღე ორი გამსვლელი გადაბმული პაიკი ლაზიერის ფრთაზე, მაგრამ პარტია ვერ დავამთავრე: თამაშის დრო ამოიწურა. შეწყვეტილ პოზიციაში ეტლი და ოთხი პაიკი მაქვს მხედრისა და ოთხი პაიკის წინააღმდეგ. რა დასამალია, მოგებას ვფიქრობ.

9 ტურის შემდეგ საბოს 7,5 ქულა აქვს, დამიანოვიჩსა და ჩოკილტიას — 6,5-6,5, მე — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია, პიტელს — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. 14 მაისი. მოზარდთა რესპუბლიკური პირველობა. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — განათლების განყოფილება (თბილისი). დასაწყისი 17 ს.